საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კანონის პროექტი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

კანონპროექტის დასახელება

საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, რატი იონათამიშვილი, მაკა ბოჭორიშვილი, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, სოზარ სუბარი

კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, რატი იონათამიშვილი, მაკა ბოჭორიშვილი, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, სოზარ სუბარი

კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი

რატი იონათამიშვილი –

თანამომხსენებელი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

ანრი ოხანაშვილი –

მომხსენებელი, წამყვანი კომიტეტი

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი

ლევან კასრაძე –

კანონპროექტზე კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირი

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ალექსანდრე ტაბატაძე –

საპარლამენტო რედაქციული ვარიანტი

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 172^{10} მუხლი:

„მუხლი 172^{10}. „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა

1. ისეთი რეკლამის გავრცელება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ, თუ ამ რეკლამის გამავრცელებელი მის გავრცელებაზე ფაქტობრივ კონტროლს ახორციელებდა, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 2 500 ლარის ოდენობით.

2. არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელებით მისთვის ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) მიწოდება (გაზიარება) ან/და ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა,

რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 3 000 ლარის ოდენობით.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების სააღმზრდელო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სააღმზრდელო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში ან/და ამავე დაწესებულების ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან ისეთი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 4 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მიზნებისთვის ტერმინი „პოპულარიზაცია“ განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელებით მისთვის ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გულისხმობს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც სუბიექტმა არასრულწლოვანი დაუშვა იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს ინფორმაცია სიტყვიერად, ხმოვანი მოწყობილობით ან/და ვიზუალურად ვრცელდება, თუ აღნიშნულ სუბიექტს ამ არასრულწლოვანის ასეთ ტერიტორიაზე დაშვების შეზღუდვის უფლება და გონივრული შესაძლებლობა ჰქონდა.“.

2. 209^{3} მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კოდექსის 46^{5}, 46^{6}, 55^{2}, 55^{5}, 55^{6}, 77^{1} და 77^{2} მუხლებით, 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე და 107^{2}–107^{4} მუხლებით, 114^{2} მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^{2}–125^{4} მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^{1}, 135-ე–135^{5}, 146^{1}, 148-ე და 150-ე–150^{3} მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^{1}, 151^{2}, 152-ე და 152^{2}–152^{9} მუხლებით, 153^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{4} მუხლით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{9}, 156^{1}, 158^{3} და 158^{4} მუხლებით, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^{1}, 166^{2}, 172^{8} და 172^{9} მუხლებითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს ამ კოდექსის 290^{6} მუხლის გათვალისწინებით განიხილავს მუნიციპალიტეტის

წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.";

ბ) 2^1–მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. ამ კოდექსის 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 119^1 და 152^4–152^9 მუხლებით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 156^1 მუხლითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს ადგილზე განიხილავს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

3. თუ ამ კოდექსის 55^2, 55^5, 55^6, 64^2, 77^1, 77^2 და 103-ე მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134^1, 135-ე–135^5, 148-ე და 150^1–150^3 მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^1, 151^2, 152-ე, 152^2–152^9, 153^4, 153^9, 156^1, 158^3 და 158^4 მუხლებით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე და 159^1 მუხლებითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა

ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ამ კოდექსის 290^{6} მუხლის გათვალისწინებით ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

4. ამ კოდექსის 55^{2}, 55^{5}, 55^{6}, 64^{2}, 77^{1}, 77^{2}, 103-ე და 107^{4} მუხლებით, 114^{2} მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^{2} მუხლით, 125^{3} მუხლის მე-4–5^{1} ნაწილებით, 125^{4} მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^{1}, 135-ე–135^{5}, 146^{1}, 148-ე და 150^{1}–150^{3} მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^{1}, 151^{2}, 152-ე და 152^{2}–152^{9} მუხლებით, 153^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{4} მუხლით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{9}, 158^{3} და 158^{4} მუხლებით, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე და 159^{1} მუხლებითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს ამ კოდექსის 290^{6} მუხლის გათვალისწინებით განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირი.“.

3. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 229^9 მუხლი:

„მუხლი 229^9. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე

1. ამ კოდექსის 172^{10} მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს და სამართალდამრღვევს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს შეუფარდებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი.

2. ამ კოდექსის 172^{10} მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, თუ ეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს ადგილზე განიხილავს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.“.

4. 239-ე მუხლის:

ა) მე-14 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ამ კოდექსის 43^1, 43^2, 51^3, 53^3, 55-ე, 55^2 და 55^3 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 107^4 მუხლით, 114^2 მუხლის მე-6 ნაწილით, 119^1 მუხლით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე–151-ე, 152-ე, 152^3, 153^3, 153^4, 153^6, 158^4, 159-ე და 159^1 მუხლებითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

ოქმებს ადგენენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ უფლებამოსილი პირები.";

ბ) 27-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. ამ კოდექსის 55^5, 55^6, 64^2, 77^1, 77^2, 107^2 და 107^3 მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^2–125^4 მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134^1, 135-ე–135^5, 146^1, 150^1–150^3, 151^1, 152-ე, 152^2–152^9, 153^3, 153^6, 153^9, 156^1, 158^3 და 158^4 მუხლებით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159^1 და 166^2 მუხლებით, 172-ე მუხლით (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით) და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ამ კოდექსის 290^6 მუხლის გათვალისწინებით ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.";

გ) 76-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 77-ე ნაწილი:

„77. ამ კოდექსის 172^{10} მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს სათანადო ფორმის დაცვით ადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი. აღნიშნული ოქმის ფორმა, მისი შევსებისა და წარდგენის წესი მტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით.".

5. 240^{1} მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კოდექსის 46^{5}, 46^{6}, 103-ე და 107^{4} მუხლებით, 114^{2} მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^{2} მუხლით, 125^{3} მუხლის მე-4–5^{1} ნაწილებით, 125^{4} მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე–135^{5} მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 152-ე, 152^{3}, 153^{3}, 153^{6}, 158^{4}, 159^{1}, 172^{8} და 172^{9} მუხლებითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუნიციპალიტეტის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სფეროში ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსსა და გამოწერის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.“.

6. 242-ე მუხლის 3^{1} ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^{1}. ამ კოდექსის 55^{2}, 55^{5}, 55^{6}, 150^{2}, 150^{3}, 151^{1}, 152-ე და 152^{3}–152^{9} მუხლებით, 153^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{4} მუხლით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{9}, 158^{3} და 158^{4} მუხლებით, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე და 159^{1} მუხლებითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.“.

7. 243-ე მუხლის 2^{1} ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^{1}. ამ კოდექსის 55^{2}, 55^{5}, 55^{6}, 77^{1}, 77^{2}, 107^{2} და 107^{3} მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-15 და მე-16 ნაწილებით, 134-ე–135^{5}, 146^{1}, 151^{1}, 151^{2}, 153^{3} და 153^{6} მუხლებითა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სამართალდამრღვევი საამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
2024 წლის ... სექტემბერი.